თქვენი მ/წლის 13 მაისის გადაწყვეტილება № 5400267-ის, მე-3 ხარვეზთან დაკავშირებით განგიმარტავთ შემდეგს:

მოგეხსენებათ, რომ შპს ,,მუხიანი დეველოპმენტის“ (ს/ნ 400270407) საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი მდებარე, ქ. თბილისი დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე როგორც თქვენი შუალედური პასუხიდან ირკვევა, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, არც ერთი დადგენილება დაჯარიმების შესახებ ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც სამართალდამრღვევად კომპანიას მოიაზრებს არ გამოუცია, შესაბამისად მოცემული სამართალდარღვევის სუბიექტს არ წარმოადგენს შპს ,,მუხიანი დეველოპმენტი“.

სამართალდარღვევის ფაქტი განხორციელდა ჯერ კიდევ იმ დროს როცა მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხებოდა. ამჟამად მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მუხიანი დეველოპმენტი“- ხოლო უკანონო მშენებლობა, სხვა პირების მხრიდან არის განხორციელებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლებული ვართ შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ შესაბამისი დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამდასტურებელი ქვითარი და აქტი მითითების შერულების და სამართალღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეითანხმოთ არქიტექტურული პროექტი.